პეტრე გელხვიიძე

მხოლოდ სიყვარულზე

(აზრები)

ქუთაისი

2018

პეტრე გელხვიიძე _ მხოლოდ სიყვარულზე (აზრები)

წინამდებარე ნაშრომში შესულია აზრები მხოლოდ სიყვარულზე საკუთარი აზრთა კრებულებიდან.

© პ.გელხვიძე - 2018.

ამ პატარა კრებულს ორი დიდი იუბილის თქვენამდე მოტანის პრეტენზია აქვს; პირველი იუბილე 09.09.2018 ჩემი მეუღლის (ლუბა ხარაბაძის) ექვსნახევარი ათწლეულია, ხოლო მეორე (15.11.2018) ჩვენი საერთო, ოჯახური ოთხი ათწლეულით, სიყვარულით ნაშენები. თუ როგორ გამოიყურება გავლილი გზა იქნებ შემთხვევით შემორჩენილმა გაყვითლებულმა პატარა ბარათმა,



ან ამ საიუბილეოდ გადაღებულმა სურათმა აჩვენოს, რომლითაც დაკვირვებულ თვალს შეუძლია დაინახოს, რომ მთელი ჩვენი ეგრეთ წოდებული „შემოქმედებითი“ ცხოვრება ერთობლივია (თანაავტორობის სრული უფლებით) ისევე როგორც სიყვარულზე სხვადასხვა დროს ნათქვამი ჩემივე აზრთა კრებულებიდან აღებული აზრები.

- სიყვარული – აზრი არსებობისა
- სიყვარული არის სინათლე, -სიძულვილი კი სიბნელე.
- ეკონომია შეიძლება ყველაფრის, – გარდა სიყვარულისა.
- ერთადერთი, რაც ბუნებაში არ იხარჯება, სიყვარულია.
- პლატონური სიყვარული _ბერიკაცის სიყვარული.
- სიყვარული– ურთიერთობის ზეაღმატებული ხარისხია.
- სიკვდილის განაჩენი აქვს ამქვეყნად ყველაფერს -გარდა სიყვარულისა!
- <u>ზღარბის რჩევა</u>: „უფრო მწარე ეკლები აქვს ლამაზებს“.
- ერთადერთი რამაც შეიძლება გაუძლოს დროს - სიყვარულია.
- სექსს არ შეუძლია გადაარჩინოს სიყვარული; -სიყვარულს შეუძლია იხსნას სამყარო!

- ლამაზებს და სათუთებს ფაქიზი თვალით უნდა შეხედვა.

- ქალის სილამაზეზე საკუთრება არ არსებობს.

- ქალი ყველა ლამაზია, თუ მამაკაცს არ აქვს დახშული გონების თვალი.

- <u>გამოცანა:</u> ნეტავ რას ინატრებს ქალები „ძალადობა“ რომ აღმოიფხვრას??? (განა მამაკაცის ფანტაზია კმარა ამ ამოცანის ამოსახსნელად?)

- სულიერი და ხორციელი ჰარმონიით შეიძლება სიყვარულის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა.

- -მე მეშინია - არ დამავიწყდეს!
  - მე მეშინია - არ დავკარგო!
  - მე მეშინია - არ მაპატიებენ!

  რადგანაც დავიწყება და დაკარგვა უსიყვარულობის შედეგია, ხოლო უსიყვარულობას არავის პატიებენ!!!

- თუ იმას ვერ აკეთებ რომ ადამიანებს უყვარდე, მაშინ იმას მაინც ნუ გააკეთებ _ სძულდე მათ.

- ის, რაც გიყვარს იმით კი არ უნდა არსებობდე, არამედ უნდა ცხოვრობდე.

- ადამიანების გულებისაკენ მიმავალი გზა გულწრფელობასა და გულახდილობაზე გადის.

- **ყველაზე დიდი უნარი _ გიყვარდეს ადამიანი, ყველაზე დიდი სიმდიდრე _ უყვარდე ადამიანებს.**

- ისტორიულად ქართველი ერის გადარჩენის საკითხი მის გენეტიკურ კოდში, სიყვარულისა და შემწყნარებლობის უნარით, არის ჩადებული. საკმარისია ამ უნარის დაკარგვა და ერიც წაიშლება პირისაგან მიწისა.

- მხოლოდ რუსთაველმა შეძლო სიყვარულისთვის ძეგლი დაედგა.

- მოპარული დრო –საყვარელ ადამიანებთან გატარებული დრო.

- ბედნიერია ის ვისაც სიყვარულის უდიდესი უნარი აქვს.

- თუკი ბუნებაში რაიმეს მუდმივობის კანონია სამართლიანი, ეს პირველ რიგში სიყვარულისთვისაა სამართლიანი.

- მხოლოდ სიყვარულს შეუძლია იხსნას სამყარო!

- ამ სამყაროში კაცობა და სიყვარულია მარადიული!

- რა არის სიყვარული?
  -სიგიჟე!!!

- რა არის სიგიჟე?.-ენერგიისა და აზრების არაადექვატური გამოვლენა. (სიგიჟე-გამბედაობაა აღმატებულ ხარისხში).

- სიყვარული-უნაზესი, უფაქიზესი, უსპეტაკესი გრძნობაა!!!

- როცა ადამიანს რაიმეს ჩუქნიან საზღაურად მინიმუმ სიყვარულს იღებენ.

- ცუდია თუ სიყვარული მხოლოდ საუბრის თემაა და არა აზრი ცხოვრებისა.

- უკვდავების ყველაზე დიდი წყარო, ყველაზე დიდი წამალი_არის სიყვარული.

- სიყვარულის მინიმუმი ნებისმიერ სხვა მაქსიმუმზე დიდია.

- სიყვარული უდრის თავგანწირვას.

- <u>**შეკითხვა:**</u> -რას იზამდი ხელახლა რომ დაბადებულიყავი?
  –მთელ ჩემს სიცოცხლეს სიყვარულში დავხარჯავდი.

- ის რაც სიყვარულით არ კეთდება, საქმედაც არ ითვლება.

- სიყვარულის უნარი _ ათასწლეულების გადახედვის უნარი.

- რაც უფრო ფაქიზი გრძნობებით შეხვალთ სიყვარულის სამყაროში, მით უფრო ამაღლდებით.

- ამქვეყნიური ცხოვრების აზრი მხოლოდ სიყვარულის უნარით განისაზღვრება, შეძელით სიყვარულის საიდუმლოთა შენახვა!

- შეგონება _ განდევნე ეშმაკი, ეზიარე რუსთაველს!

- სიამოვნების ექსტაზში საღი გონება იკარგება.

- ძალა დამანგრეველია, შენების დუღაბი სიყვარულია.

- სიყვარული მრავალწახნაგოვანი უნარების და შესაძლებლობების ერთიანობაა.

- ზოგჯერ ადამიანი იდუმალ სათქმელს ნერწყვის გადაყლაპვით ამბობს.

- რა ანადგურებს ადამიანს? – სიძულვილი;
  რა აძლიერებს ადამიანს? – სიყვარული.

- ❖ სიცოცხლის ხანგრძლივობის ანგარიშისას დღე, როდესაც არავის მოფერებიხარ, შენად ნუ მიითვლი.

- ❖ სიყვარული გალაქტიკაზე უფრო მოკაშკაშე სამყაროა და ბედნიერი ხარ თუ ამ სამყაროს თუნდაც ერთი შემადგენელი ელემენტი ხარ!

- ❖ კაცობა უნარია, სიყვარული უნარია, ამ უნარების შენარჩუნება კი – მარადისობაში გადასვლა.

პეტრე გელხვიიძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის პროფესორი. საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის (სამეცნიერო შრომების თემატიკა ეხება ძლიერდენიანი რელატივისტური ელექტრონული კონების გამოყენების პრობლემებს ზემძლავრი ლაზერების რეალიზაციის საქმეში), აზრების კრებულების, სამი პატენტისა და სასწავლო მეთოდური ხასიათის რამოდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.